# Month plan

სს „საქართველოს რკინიგზის" ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების დაგეგმვის ავტომატიზირებული სისტემა

## მომხმარებლის ინსტრუქცია

2025

# სარჩევი:

გეგმის შესათანხმებლად ფორმირება ..................2

გეგმის შევსება ..................3

ქვეყნები: ..................4

გადამხდელები: ..................6

ტვირთი: ..................8

გეგმის დამუშავება: ..................12

გეგმა-დათვალიერება ..................14

ანგარიშები ..................16

# გეგმის შესათანხმებლად ფორმირება

ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების დაგეგმვის ე.წ. “Month Plan” - ის სისტემა საქართველოს რკინიგზის მომხმარებლებისთვის/კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მისამართზე https://cargo.railway.ge/.

მომხმარებელს სისტემაში შესვლა შეუძლია შესაბამისი მომხმარებლის და პაროლის შეყვანის შემდეგ.

ავტორიზაციის შემდეგ მენიუს ჩანართიდან „გეგმარება“ ვირჩევთ „ახალი გეგმა“




„ახალი გეგმის“ ამორჩევის შემდეგ გადავალთ ფორმაზე, სადაც შევიტანთ გეგმის შესაბამის პარამეტრებს დასამუშავებლად:



# გეგმის შევსება

ვირჩევთ სასურველ ფაილის ტიპს:
PL_E - ფაილის ტიპი, რომელიც განკუთვნილია მესამე ქვეყნებში ტვირთების გადაზიდვის მომავალი თვის გეგმის ფორმირებისთვის
PLAN – ფაილის ტიპი, რომელიც განკუთვნილია მომდევნო თვის სნგ-ს ქვეყნებში და საქართველო, ლატვია, ლიტვა, ესტონეთის ტერიტორიაზე ტვირთების გადაზიდვაზე წინასწარ წარმოდგენილი გეგმის ფორმირებისთვის
PL_K – ფაილის ტიპი, რომელიც განკუთვნილია საერთაშორისო ტვირთის გადაზიდვის დამატებითი გეგმის ფორმირებისთვის



გადაზიდვის შესაბამის თარიღს, რომელ რიცხვში უნდა მოხდეს ტვირთის გადაზიდვა:



სასურველ გადაზიდვის სახეობას:



ზემოთ ჩამოთვლილი ველების შემდეგ ვავსებთ ფორმაში არსებულ ჩანართების ველებს.

## ქვეყნები:

იქიდან გამომდინარე, რომ გამგზავნი ქვეყანა ყოველთვის საქართველოა, ველში „გამგზავნი ქვეყანა“ სისტემას ავტომატურად გამოაქვს საქართველოს ქვეყნის კოდი და დასახელება, „გამგზავნი სადგური“ კი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით:



ცნობარის ფანჯრის გახსნის შემდეგ ველში „ძებნა“ შესაძლებელია სასურველი სადგურის ძებნა კოდის ან/და დასახელების მითითებით, აღნიშნულის მითითების შემდეგ ძებნის ღილაკით გამოვა შესაბამისი სადგური, ხოლო ღილაკით „არჩევა“ ველში ჩავსვავთ სასურველ სადგურს:



„დანიშნულების ქვეყანა“ არაკორექტირებადი ველია, სისტემა ავტომატურად ავსებს დანიშნულების სადგურის მითითების შემდეგ.  დანიშნულების სადგურის ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

დანიშნულების სადგურის მითითების შემდეგ ფორმაში ღილაკით ვამატებთ  „გადაზიდვაში მონაწილე რკინიგზის ადმინისტრაციებს“, „მიმღები შეპირაპირების პუნქტებს“ და „ექსპედიტორებს“:



აღნიშნული პარამეტრები უნდა დავამატოთ იმის მიხედვით, თუ რა თანმიმდევრობით გაივლის ტვირთი გზას, ხოლო ბოლო რკინიგზის ადმინისტრაცია უნდა შეესაბამებოდეს დანიშნულების ქვეყნის ჩანაწერს.

გადაზიდვაში მონაწილე რკინიგზის ადმინისტრაცია - ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

მიმღები შეპირაპირების პუნქტი - ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

ექპედიტორები - ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

## გადამხდელები:

ჩანართში **გადამხდელები** ვავსებთ შემდეგ ველებს:
ტვირთგამგზავნი - ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

ექსპედიტორი - (არასავალდებულო) ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ტვირთმიმღები - ველი ივსება შესაბამისი დასახელების მითითებით, კოდის ველი არასავალდებულოა:



პორტში ტვირთმიმღები - იმ შემთხვევაში თუ გეგმარება არის საპორტო გზავნილის ტიპი, ველი ივსება შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

პორტი - ველი ივსება შესაბამისი პორტის კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

## ტვირთი:

გზავნილის სახეობა - ამოსარჩევი ველი:



ნომენკლატურის ჯგუფი - ამოსარჩევი ველი:



ტვირთის დასახელება GNG - ველი ივსება შესაბამისი GNG კოდის მითითებით (აღნიშნულ ველში ვუთითებთ მხოლოდ ერთ GNG კოდს), მეტის დამატების საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ შენიშვნის ჩანართში არსებული ველი:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

ტვირთის წონა(ტ) - ხელით შესავსები ველი:



მოძრავი შემადგენლობის კუთვნილების ნიშანი - ამოსარჩევი ველი:



ვაგონის სახეობა - ამოსარჩევი ველი:



ვაგონების რაოდენობა - ხელით შესავსები ველი:



კონტეინერის სტანდარტული ზომა - (იმ შემთხვევაში თუ საკონტეინერო გზავნილია) ველი ივსება შესაბამისი შესაბამისი კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

კონტეინერების რაოდენობა - (იმ შემთხვევაში თუ საკონტეინერო გზავნილია) ხელით შესავსები ველი:



საშიში ტვირთი - იმ შემთხვევაში თუ ხდება საშიში ტვირთის გადაზიდვა, უნდა მოვნიშნოთ შესაბამისი უჯრა და მივუთითოთ რა სახის ტვირთი გადაიზიდება, კოდის მითითებით:



ან ცნობარიდან ამორჩევით.

შენიშვნა:

„შენიშვნა" -   ხელით შესავსები არასავალდებულო ველი, სადაც შედის გადაზიდვასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ველებში ვერ ან არ შევიტანეთ (მაგ. GNG კოდები და ა.შ.):



„კომენტარი" -  კლიენტსა და რკინიგზის თანამშრომელს შორის  კომუნიკაციის წყარო, რომელიც არ მიყვება განაცხადს:



# გეგმის დამუშავება:

გეგმის ფორმაში ყველა სავალდებულო ველის შეტანის შემდეგ, ღილაკით „შენახვა“ გეგმას შევინახავთ სისტემაში და მიენიჭება გეგმის ნომერი, თუმცა არ მოხდება საქართველოს რკინიგზის მხარეს განსახილველად გადაგზავნა.



ღილაკი „განახლება“ შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეული ველები გავასუფთავოთ გეგმის ფორმაში და გამოვიყენოთ ე.წ. შაბლონად:



ღილაკით „გადაგზავნა“, ფორმაში ყველა სავალდებულო ველის შეტანის შემდეგ გეგმას ვაგზავნით საქართველოს რკინიგზაში შესათანხმებლად. გეგმის სტატუსები შესაძლებელია ვიხილოთ გეგმა-დათვალიერების ცხრილში.



იმ შემთხვევაში, თუ გეგმა არ არის გადაგზავნილი განსახილველად ღილაკით „წაშლა“ შეგვიძლია გეგმა წავშალოთ.




ღილაკით „ფაილების ატვირთვა“ შეგვიძლია გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფაილის დამატება.



# გეგმა-დათვალიერება

იმისათვის, რომ ვნახოთ ჩვენს მიერ ფორმირებული გეგმის ჩამონათვალი მენიუს ჩანართიდან „გეგმარება“ ვირჩევთ „გეგმა-დათვალიერებას“:



ფორმაზე გადასვლის შემდეგ უნდა ავირჩიოთ თარიღი ერთი თვის ჭრილში, იმის მიხედვით თუ რომელ თვეში მოხდა გეგმის ფორმირება:



ღილაკით „ძებნა“ სისტემა გამოიტანს გეგმების ჩამონათვალს ცხრილის სახით:



ცხრილში სასურველი გეგმა შეგვიძლია მოვძებნოთ ველში „ძებნა“ გეგმარების ნებისმიერი მონაცემის მითითებით (მაგ. გეგმის ნომერი, ექსპედიტორი, ტვირთმიმღები და ა.შ.)



ცხრილის ჩამონათვალიდან შეგვიძლია ღილაკით „დათვალიერება“ სასურველი გეგმა გავხსნათ დათვალიერების ფორმატში:



ღილაკით „რეპორტის ნახვა“




შეგვიძლია სასურველ გეგმაზე დაფორმირებელი რეპორტის გახსნა PDF ფორმატში:

Georgian Railway
EST.1872

ფორმირების თარიღი 07/11/2025

გეგმის № 5507033333

**საერთაშორისო მიმოსვლის ტვირთის გადაზიდვის მონაცემები**

| | |
|---|---|
| დატვირთვის სავარაუდო თარიღი | 07/09/2025 |
| ექსპედიტორი საქართველოს ტერიტორიაზე | "ДЖИАР ЛОДЖИСТИКА И ТЕРМИНАЛЫ"ООО, 125951 |
| ტვირთგამგზავნი | "ALCO" LLC, 0 |
| ტვირთმიმღები | 94626, "Дави" |
| გამგზავნი სადგური | СУМГАИТ, 546403 |
| მიმღები სადგური | ПОТИ (ПОРТ), 572200 |
| ტვირთის კოდი და დასახელება | 27460000 - Отменено-Масла смазочные неотработанные |
| დანიშნულების ქვეყანა | ГРУЗИЯ |
| პორტში მიმღების კოდი და დასახელება | |
| პორტი | |
| ვაგონის სახეობა | платформы фитинговые |
| კონტეინერის სტანდარტული ზომა | 2 среднетоннажный контейнер максимальной массы брутто 5 т |
| მოძრავი შემადგენლობის კუთვნილება | Аренда вагона совместного использования/контейнера совместного использования |
| ტვირთის რაოდენობა (ტ) | 25 |
| ვაგონების / კონტეინერების რაოდენობა | 1 / 11 |
| გადაზიდვაში მონაწილე რკინიგზის ადმინისტრაციები | ГРУЗИЯ |
| სახელმწიფოთაშორისო შეპირაპირების სადგურების დასახელება | ГАРДАБАНИ (ЭКСП.) |
| გადამხდელების სახელწოდება მარშრუტის მიხედვით, კოდის მითითებით | ООО "ДЖИАР Логистика и Терминалы". 28010113 |
| შენიშვნა | |

გეგმის ავტორი -

რკინიგზის წარმომადგენელი - imap

# ანგარიშები

მენიუს ჩანართიდან „გეგმარება“ „ანგარიშების“




ამორჩევის შემთხვევაში გადავალთ რეპორტზე თარიღის მითითების შემდეგ:




ღილაკზე „View Report “:




სისტემა გვაჩვენებს „გეგმარების რეესტრს“ :




სადაც შეგვიძლია ვიხილოთ გეგმების ჩამონათვალი ცხრილის სახით და სურვილის შემთხვევაში შევინახოთ სასურველი ფორმატის სახით, მაგ: Excel, PDF და ა.შ.